



**ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების სუბკლინიკური
გამოვლინებები იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში**

ნინო ჩახნაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო მახაშვილი - ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ჩახნაშვილი, 14.06.19

აბსტრაქტი

კონფლიქტის შედეგად გამოწვეული შიდა დევნილობა წარმოადგენს ფართომასშტაბიან პრობლემას, რაც პირდაპირ კავშირშია სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობის გამოვლენის რისკთან, რასაც მრავალი კვლევა ადასტურებს.

ნაშრომში წარმოდგენილია გავრცელებული ფსიქიკური აშლილობების (პოსტტრავმული სტრესული აშლილობის, დეპრესიისა და შფოთვის) სუბკლინიკური მდგომარეობების პრევალენტურობა საქართველოში, 1991-1992 და 2008 წლის საომარი კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების, ასევე ე.წ. დაბრუნებულთა პოპულაციაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონაცემები ნაკლებია, განსაკუთრებით საშუალო და დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში.

წარმოდგენილ კვლევაში მოცემულია სუბკლინიკური შფოთვის, დეპრესიისა და პტსა-ს კავშირი ისეთ ფაქტორებთან (ცვლადებთან), როგორცაა: სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, ოჯახის წევრების რაოდენობა.

კვლევის მნიშვნელოვან აღმოჩენას წარმოადგენს, მამაკაცების მოწყვლადობა სუბკლინიკურ მდგომარეობასთან მიმართებაში. რაც არ ეთანხმება მრავალი კვლევის შედეგს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ქალები ფსიქიკური აშლილობების მხრივ მეტად მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ.

საძიებო სიტყვები

სუბკლინიკა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, იძულებით გადაადგილებული პირები, პრევალენტურობა, ფსიქიკური აშლილობები, სუბკლინიკური დეპრესია, სუბკლინიკური შფოთვა, სუბკლინიკური პოსტტრავმული სტრესული აშლილობა

Abstract

Existence of internal refugee population, caused by conflicts, represents the global problem, linked with the manifestation of different disorders. This fact is proved by numerous studies.

In this trial we studied the prevalence of subclinical manifestations of the most widespread mental disorders (PTSD, Depression and Anxiety), in the Internally Displaced Persons (IDP), during the military conflicts of Y1991-1992 and Y2018. There is the lack of evidence-based data on this topic, especially in the countries of low and average income.

The study describes the correlation of subclinucal manifestations of PTSD, Depression and Anxiety with such variables as the gender, age, marital status, the number of family members and religiosity.

The results of the study proved just the part of initial hypothesis.

One of the important findings of the study is especial vulnaribility of men in terms of above mentioned subclinical statuses. This data does not correspond with the results of the numerous studies, indicating higher vulnarabilit of women in terms of mental disorders.

მადლობა

მადლობას ვუხდით ქალბატონ ნინო მახაშვილს გაწეული შრომისა და დახმარებისათვის. ჯგუფელებსა და მეგობრებს გვერდში დგომისათვის და მხარდაჭერისთვის.